საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა -კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 036/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატი მ. უ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 08 ივნისს საჩივრით მომართა ი. შ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. უ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. უ.-ს მიმართა 2018 წლის აგვისტოში საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, რაც ეხებოდა სისხლის სამართლის საქმეს, რომელშიც ი. შ. დაზარალებულია. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ელექტრონული პლატფორმის „ზუმის“ გამოყენებით დისტანციურ რეჟიმში მომჩივანმა 2021 წლის 15 ივლისს წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 მომჩივანმა ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ გახდა ის თაღლითობის მსხვერპლის, აგრეთვე, გააცნო მის ხელთ არსებული საქმის მასალები. ადვოკატმა მომჩივანს განუცხადა, რომ საქმეში ნამდვილად იკვეთებოდა ჯგუფური თაღლითობა გამოძალვის მიზნით, რაც იმედისმომცემი იყო მომჩივანისთვის.

1.3 საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოთხოვნის შესაბამისად გადასცა 500 ლარი, რაზეც განუმარტა, რომ ორდერის გამოწერისთვის იყო საჭირო „ორდერი ამაღებინე რომ ვიმოძრაო“. ადვოკატს ი. შ.-თან არ გაუფორმებია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და არ განუსაზღვრია წერილობითი ფორმით - საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას გაუჩნდა ეჭვი რომ ადვოკატი მ. უ. მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. კერძოდ, ერთ-ერთ შეხვედრაზე ადვოკატმა უთხრა, რომ სახლი, რომელიც თაღლითობის შედეგად დაკარგა ეკუთვნოდა ე.წ ახალ მესაკუთრეს - გ. ა.-ს და უთხრა შემდეგი ფრაზა: „ეს სახლი ამ ბავშვს დედის რძესავით შეერგება“. ამ ფაქტს ესწრებოდა ი. შ.-ის შვილი, რომელმაც დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა საქმის თაობაზე, მათ შორის ადვოკატს კიდევ ერთხელ განუმარტა, რომ გ. ა. არ იყო კეთილსინდისიერი შემძენი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, გ. ა.-მა კანონის გვერდის ავლით შეიძინა ქონება გარიგებით და ამასთანავე, გაფორმებული ჰქონდა ქირის ხელშეკრულება. საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. უ.-ს საქმესთან დაკავშირებით დამატებით მიაწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია: 2014-2015 წლებში ზ. ა.-ს ჰქონდა 2 სესხი - სულ 140000 დოლარის ოდენობით, თუმცა აღნიშნული სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც გ. ა.-ს აქვს გაფორმებული გ. ლ.-თან მითითებულია - 150000 დოლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის საეჭვოდ მიიჩნევს ამ ფაქტს რადგან, 2015 წელს გ. ა.-ს 23 წლის ასაკში ამ ოდენობის თანხა ვერ ექნებოდა, მაშინ როდესაც 2014 წლის დეკლარაციაში გ. ა.-ს და მის დედას - ნ. პ.-ს ერთობლივად წლიური შემოსავლის სახით მითითებული აქვს - 15800 ლარი. თვენახევარში 2015-დან 2018 წლამდე დეკლარაცია აღარ იძებნებოდა. ადვოკატმა მ. უ.-მა აღნიშნული ფაქტი არ მოიძია და არ დაურთო სისხლის სამართლის საქმეს მტკიცებულების სახით.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის მიერ მის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნულ თაღლითობის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა ფინანსურ პოლიციაში, სადაც ი. შ. დაიბარეს გამოკითხვაზე, მან დაურეკა ადვოკატ მ. უ.-ს და აცნობა ამ ფაქტის შესახებ. ადვოკატმა განუმარტა, რომ ისიც ფინანსურ პოლიციაში იმყოფებოდა და გამოკითხვაზე შეჰყვებოდა, თუმცა ადგილზე მისვლისას განუცხადა, რომ მარტო შესულიყო, თავად კი მეორე კლიენტს გაჰყვა საქმეზე.

1.7 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატ მ. უ.-ის მიერ შედგენილი განცხადება სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში, რამაც მან გაუჩინა ეჭვი, რომ სხვა ქმედებებთან ერთად მიზანმიმართულად შეადგინა ხარვეზიანი განცხადება, შესაძლოა, მას არ ჰქონდა საკმარისი ცოდნა. აგრეთვე, ადვოკატმა სადავო სახლში არსებული ნივთების გამოთხოვის მიზნით შეადგინა განცხადება პოლიციაში წარსადგენად, რის საფუძველზეც ი. შ. დაიბარეს გამოკითხვაზე, მასთან ერთად იმყოფებოდა ადვოკატიც. აღნიშნულ შეხვედრაზე კამათის გამწვავების შემდგომ, ადვოკატი და პოლიციის ხელმძღვანელი ცალკე გავიდნენ სასაუბროდ.

1.8 ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, მომჩივანმა გადაწყვიტა მ. უ.-თან შეეწყვიტა თანამშრომლობა. საჩივრის ავტორი 2021 წლის 24 მაისს დაუკავშირდა ადვოკატს და აცნობა, რომ სურდა „ორდერის გაუქმება“. ადვოკატმა დაიბარა ი. შ. მასთან ოფისში და ხელი მოაწერინა ორდერის გაუქმების დოკუმენტს. მოგვიანებით, ადვოკატი ესაუბრა ი. შ.-ის შვილს, რადგან ვერ გაიგო ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი და თითქოს არ იცოდა გ. ა.-ის ვინაობა. ასევე ადვოკატი საუბრობდა ხმამაღლა და მუქარის ტონით “აბა აქ მოდით, აქ ვილაპარაკოთ, რა პრობლემები გაქვთო“.

1.9 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა მ. უ.-მა მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ეუბნებოდა, რომ ის იყო „უმადური და უნამუსი“, რადგან ადვოკატი მიიჩნევდა, რომ ანაზღაურების გარეშე გაუწია მომსახურება. აგრეთვე, ადვოკატმა ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა, რომ „ფული ყველაფერს აკეთებს“.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, მნიშვნელოვანია კომისიაში მის მიერ წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერი, რომელიც მისმა შვილმა ადვოკატ მ. უ.-თან შეხვედრისას ჩაიწერა. მომჩივანის განცხადებით, ჩანაწერი ადასტურებს, რომ მ. უ.-მა მიაყენა შეურაცხყოფა, ის ყვირილით და ლანძღვით ატოვებინებდა მათ ოფისს. ადვოკატმა ოფისიდან გასვლისას ხელის კვრით და დარტყმით უბიძგებდა კიბეებზე ჩასვლისკენ. აგრეთვე, ადვოკატი მომჩივანს მიმართავდა: „რატომ უნდა მერეკა შენთვის?“, მიუთითებდა, რომ ვალდებული არ იყო ინფორმაცია მიეწოდებინა საქმის მიმდინარეობის შესახებ.

2. მოწმე ზ. ჯ.-ის განმარტება:

2.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ელექტრონული ფორმატის „ზუმის“ გამოყენებით დისტანციურ რეჟიმში 2021 წლის 28 ივლისს მოწმე ზ. ჯ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება. ადვოკატი მ. უ.-ს უნდა ეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმე. ის აიმედებდა მას და ი. შ.-ს, რომ საქმე წარმატებით დასრულდებოდა, თუმცა მისმა საეჭვო ქმედებებმა მომჩივანს გადააწყვეტინა ორდერის გაუქმება.

2.2 „ორდერის გაუქმების“ მიზნით ადვოკატთან შეთანხმებისამებრ მივიდნენ ოფისში. მოგვიანებით ზ. ჯ.-ს ადვოკატი თავად დაუკავშირდა, დაინტერესდა, რატომ სურდათ ორდერის გაუქმება და ეჭვი შეიტანა მათ ქმედებაში.

2.3 მოწმის განცხადებით, ადვოკატმა მ. უ.-მა მას და მომჩივანს უთხრა, რომ გ. ა. იყო კეთილსინდისიერი შემძენი და „ამ ბავშვს ეს ბინა დედის რძესავით შეერგებოდა“, მაგრამ სატელეფონო საუბრისას უარყო, რომ იცნობდა გ. ა.-ს.

2.4 ადვოკატის მიმართ ეჭვს ემყარებოდა ის ფაქტიც, რომ როდესაც ზ. ა.-ის ქონებრივი დეკლარაციის შესახებ ადვოკატ მ. უ.-ს მიაწოდეს ინფორმაცია, ამის შემდეგ მონაცემები დეკლარაციიდან წაიშალა.

2.5 ადვოკატი მიზანმიმართულად მოქმედებდა ი. შ.-ის ინტერესების საზიანოდ, მუქარის ტონით ესაუბრებოდა მას, ეკითხებოდა, თუ რა პრეტენზიით იყვნენ მისულები და ცდილობდა პროვოკაციაზე წამოგებას. ადვოკატი ი. შ.-ს სთხოვდა ისეთი ინფორმაციის გამოთხოვას, რაც უშუალოდ ადვოკატის მოვალეობა იყო. კერძოდ, ბანკიდან ბინის შეძენის შესახებ ინფორმაციას.

2.6 მოწმის განმარტებით, ადვოკატის მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელი იყო არაკვალიფიციურად შედგენილი, რადგან სასამართლო ვერ გაერკვია სარჩელის შინაარსში.

2.7 ზ. ჯ.-ის განმარტებით, ადვოკატი საუბრობდა დამამცირებლად, მას და ი. შ.-ს უწოდებდა „უნამუსოს, უმადურს“, სხვების თანდასწრებით და მათი მისამართით ამბობდა „ვირო მადლიო“. ადვოკატი ი. შ.-ს ოფისის დატოვებისას ხელის კვრით უბიძგებდა კიბისკენ.

2.8 მოწმის განმარტებით, როდესაც ი. შ. რაიმე დეტალის დაზუსტებას და საქმის ვითარების გაცნობას ითხოვდა, ადვოკატი მ. უ. მუდმივად ბუნდოვნად, ირონიული დამოკიდებულებით სცემდა პასუხებს. ადვოკატის ქმედება ირიბად მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ის მოქმედებდა მეორე მხარის ინტერესების სასარგებლოდ. მ. უ. საქმესთან დაკავშირებით ი. შ.-ს ურჩევდა თანხის აღებას ბინის სანაცვლოდ.

2.9 მოწმის განცხადებით, ი. შ.-ს მუდმივად უწევდა ადვოკატ მ. უ.-თან იმის მტკიცება რომ ქირავნობის ხელშეკრულება იყო დადებული და შემდეგ გაჩნდა ნასყიდობის ხელშეკრულება საქმეში.

2.10 მოწმის განმარტებით, ადვოკატი არასაკმარისად აწვდიდა ი. შ.-ს ინფორმაციას საქმის თაობაზე, მათ შორის იმ დროს, როდესაც ნივთების გამოთხოვის საკითხზე იყვნენ გამომძიებელთან. მოწმის განცხადებით, ადვოკატი მ. უ. ესაუბრა გამომძიებელს, თუმცა აღნიშნული საუბრის შესახებ არ მიუწოდებია ინფორმაცია ადვოკატს.

3. მოწმე მ. ლ. განმარტება: 08 აგვისტო 2021

3.1 მოწმის განცხადებით, ის ზ. ჯ.-სთან ერთად მივიდა საადვოკატო ოფისში, თუმცა იქ მ. უ. არ დახვდათ. ზ. ჯ. ტელეფონით დაუკავშირდა ადვოკატ მ. უ.-ს, რომელიც უარყოფდა, რომ იცნობდა გ. ა.-ს. ოფისში დაგვიანებით მისული მ. უ. აგრესიულად მიმართავდა ი. შ.-ს, კერძოდ, ეუბნებოდა, რომ იყო „უნამუსო, უმადური ქალი“. ადვოკატი ითხოვდა განმარტებას, იმის თაობაზე, თუ „რატომ აუქმებდნენ ოდერს“, რაზეც ი. შ.-ს განმარტების საშუალებას არ აძლევდა და საუბარს აწყვეტინებდა.

3.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ოფისიდან გამოსვლისას ი. შ.-ს ხელი კრა კიბეზე ჩასვლისას.

4. ადვოკატ მ. უ.-ის პოზიცია:

4.1 ადვოკატმა მ. უ.-მა 2021 წლის 08 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. 2019 წლის ოქტომბრის თვეში ადვოკატს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართა ი. შ.-მა. კერძოდ, მომჩივანმა განუცხადა, რომ დაბარებული იყო გასაუბრებაზე პოლიციაში და სთხოვა გაყოლოდა. ადვოკატი დათანხმდა ორდერის გაფორმებას და განუმარტა, რომ დაესწრებოდა მხოლოდ მის გასაუბრებას საჭიროებისამებრ. აგრეთვე, განუმარტა, რომ საქმის გაგრძელებას ვერ შეძლებდა მხოლოდ ორდერის გამოწერისთვის გადახდილი 500 ლარით. ადვოკატის განცხადებით, ი. შ.-ს საკმაოდ დიდი დრო დაუთმო სამართლებრივი კონსულტაციისთვის. ადვოკატმა დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ურჩია მიემართა პროკურატურისთვის და მოეთხოვა გამოძიების დაწყება.

4.2 ი. შ.-მა არაერთხელ მიმართა ადვოკატს სხვადასხვა სახის განცხადებების შედგენის მიზნით. ყოველი განცხადების მომზადებისას ი. შ.-ს ადვოკატთან მიჰქონდა საქმის მასალები, ადვოკატი დანართს უმზადებდა და უკან ატანდა. ადვოკატის განმარტებით, ის სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა მომჩივანს და ვერ წარმოიდგენდა მისგან უმადურ და ცილისმწამებლურ საქციელს.

4.3 ადვოკატის განმარტებით, მან ი. შ.-ის განცხადება გადაგზავნა ძველი თბილისის მე-7 სამმართველოში. ადვოკატის ჩართვამდე ი. შ.-ის არცერთ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია, ხოლო მისი ჩართულობით სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება.

4.4 ადვოკატის განმარტებით, მან ი. შ.-ს შეუდგინა განცხადება პროკურატურაში წარდგენის მიზნით, დაესწრო მის დაკითხვას, დაუწერა განცხადება სადავო სახლში დარჩენილი ნივთების გამოთხოვაზე, ასევე სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებაზე და დამატებით ის განცხადებები რაზეც ი. შ. თვლიდა, რომ მისთვის საჭირო იყო. ადვოკატს არასდროს უთქვამს უარი დახმარებაზე და არც არასდროს მიუცია გარანტია ან რაიმე სახის დაპირება საქმის შედეგთან დაკავშირებით.

4.5 2021 წლის 24 მაისს ადვოკატს ტელეფონით დაუკავშირდა ი. შ. და სთხოვდა შეხვედრას, რაზეც დასთანხმდა, უთხრა რომ სასამართლო სხდომა ჰქონდა ჩანიშნული დილის საათებში და მოგვიანებით მისულიყო. ადვოკატმა დააზუსტა შეხვედრის საკითხი, ი. შ. ითხოვდა ორდერის გაუქმებას, რამაც ადვოკატის

გაკვირვება გამოიწვია ამდენი დახმარების გაწევის შემდეგ. ადვოკატს ოფისში დახვდა: ი. შ., მისი შვილი ზ. ჯ. და ადვოკატისთვის უცნობი ახალგაზრდა გოგონა, ასევე, ოფისში იყვნენ ადვოკატის კოლეგები ე. გ. და ი. ჯ..

4.6 ადვოკატის განმარტებით, ოფისში მისვლისას მას ი. შ.-მა დაუწყო ხმამაღალი საუბარი და ცილისწამება თითქოს ის გ. ა.-ს გაურიგდა, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა და მის შესახებ მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც ერთ-ერთ განცხადებაში ი. შ.-მა ჩააწერინა, რომ ეს პიროვნება იყო მათი ბინის შემძენი.

4.7 ადვოკატის განცხადებით, ი. შ.-ის და მისი თანმხლები პირების მიერ განხორციელებული ფარული ჩანაწერები არის სისხლის სამართლის დანაშაულია. ადვოკატის განმარტებით, საჩივარში მითითებული ფრაზები, როგორებიც არის „ფული ყველაფერს აკეთებს“, „დედის რძესავით შეერგება“ და სხვა, მსგავს გამოთქმებს ის საერთოდ არ იყენებს კლიენტებთან ურთიერთობისას. ადვოკატის განცხადებით, მისი მხრიდან ი. შ.-ის მიმართ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ ხმამაღალი საუბარი იყო მათ შორის.

4.8 ადვოკატს მომჩივანი და მისი შვილი ბრალს დებენ მისთვის გაურკვეველ ფაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, ი. შ.-ის შვილმა სატელეფონო საუბრისას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, როდესაც ბრალი დასდო გ. ა.-თან გარიგებაში. სწორედ ამ ფაქტმა გააღიზიანა ადვოკატი მ. უ. და მოითხოვა ოფისი დაეტოვებინათ. ოფისიდან გასვლის დროს კარების დახურვისას ი. შ.-ის შვილმა კარებში ხელი შეყო, მუშტი ჩაარტყა მაჯის არეში და დაემუქრა.

4.9 ადვოკატის განმარტებით, ი. შ. გამომძიებელთან დაკითხვაზე ყოფნისას ყვიროდა, აპროტესტებდა გამოძიების მიმდინარეობას. გამომძიებელი უხსნიდა, რომ ეს აუცილებელი იყო საქმის წარმოებისთვის, მაშინ ადვოკატმა მ. უ.-მაც უსაყვედურა. ადვოკატის განცხადებით, ბინის ღირებულება მხოლოდ იმ მიზნით ჰკითხა მომჩივანს, რომ დაეზუსტებინა მიყენებული ზიანი.

4.10 ადვოკატის განცხადებით, რაც შეეხება ი. შ.-ის მითითებას, რომ მას მოსთხოვა ბანკიდან ქვითრის გამოთხოვა, აღნიშნული ადვოკატმა რჩევის სახით უთხრა, რომ საქმეზე დამადასტურებელი მტკიცებულების სახით დაერთო.

4.11 ადვოკატის განმარტებით ის დამოუკიდებლად არ მოქმედებდა და საქმის მიმდინარეობს საკითხებს ი. შ.-ს უთანხმებდა. აგრეთვე, უკავშირდებოდა გამომძიებელს ი. შ.-ის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ, გაერკვია რა ეტაპზე იყო გამოძიება ან რატომ არ უბრუნდებოდა ი. შ.-ს კუთვნილი ნივთები.

4.12 ადვოკატის განცხადებით, პოლიციაში ყოფნისას, ი. შ.-მა იცნო ის პიროვნება, რომელმაც ის 2015 წელს „უკანონოდ გამოასახლა“. ადვოკატი მ. უ. გაესაუბრა აღნიშნულ პიროვნებას, თუმცა მან განუმარტა, რომ გამოსახლების განხორციელების უფლებამოსილება არ ჰქონდა. ადვოკატს პოლიციის ხელმძღვანელი დაპირდა ფაქტის გამოძიებას, მაგრამ აღნიშნულის შემდგომ მას ი. შ. არ დაკავშირებია.

5. მოწმე ადვოკატ ე. გ.-ის ახსნა-გამარტება:

5.1 მოწმე ე. გ.-მა ელექტრონული პლატფორმის „ზუმის“ გამოყენებით დისტანციურ რეჟიმში 2021 წლის 04 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის მუშაობს ადვოკატ მ. უ.-თან ერთად ოფისში.

5.2 მოწმის განმარტებით, 2021 წლის მაისის თვეში ი. შ. თავის შვილთან ერთად მივიდა ოფისში და რადგან ადვოკატი მ. უ. იმჟამად ოფისში არ იმყოფებოდა, ე. გ.-მა შესთავაზა დალოდებოდნენ, თუმცა შემდგომ

წავიდნენ და ცოტა ხანში ი. შ. შვილთან და ახალგაზრდა გოგონასთან ერთად დაბრუნდა. მოწმის განცხადებით, ადვოკატი მ. უ. მალევე მივიდა ოფისში, რა დროსაც ი. შ.-მა საუბრისას ხმამაღალი ტონით უთხრა შემდეგი ფრაზა: „შენ შეკრული ხარ მოწინააღმდეგე მხარესთან, გამომძიებელთან თუ პროკურორთან და მათთან ერთად აკეთებ საქმეს". ოფისში ყოფნისას, კონფლიქტური სიტუაციის დროს ოფისში სხვა პირების შემოვიდნენ და მათ გასაგონად ი. შ.-მა მ. უ.-ს უთხრა, რომ კლიენტების საწინააღმდეგოდ აკეთებდა ყველაფერს, ამასთან დაწყევლა მისი შვილები, როს შემდეგაც ადვოკატმა მ. უ.-მა მოუწოდა ოფისის დატოვებისკენ, რის შემდგომაც ისინი თანდათან ტოვებდნენ ოფისს და მ. უ.-ც ცდილობდა კარების დაკეტვას, თუმცა ი. შ.-ის შვილი გარედან ექაჩებოდა კარს, იმ მიზნით, რომ მ. უ.-ისთვის ჩაერტყა, შემოყო ხელი და მარჯვენა ხელში ჩაარტყა, რაზეც თავად ე. გ.-მა უთხრა, რომ პატრულში დაერეკათ, თუმცა რადგან ოფისში სხვა კლიენტებიც იმყოფებოდნენ და ამ სიტუაციის გაგრძელება არ სურდათ, თავი შეიკავეს.

5.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა მ. უ.-მა ი. შ.ს „ორდერის თანხა" 500 ლარი გამოართვა, დანარჩენ ნაწილში, მათ შორის დაკითხვებზე მისვლის, საქმის აღძვრის და განცხადების დაწერასთან დაკავშირებით უანგაროდ გაუწია საადვოკატო მომსახურება.

5.4 მოწმის განმარტებით, ი. შ.-ის საქმის გარემოებებს არ იცნობს, თუმცა როგორც შეიტყო, ი. შ.-ის სახლი გაიყიდა აუქციონზე და მის მყიდველთან ურთიერთობაში სდებდნენ ბრალს მ. უ.-ს, ასევე პროკურატურასთან და გამომძიებელთან მათ საწინააღმდეგოდ მოლაპარაკებების წარმოებაში. მოწმის განმარტებით, ეს დავა სავარაუდოდ ეხებოდა პროკურატურას და სისხლის სამართლის საქმეზე უნდა ჩართულიყო ადვოკატი მ. უ..

6. მოწმე ადვოკატ ი. ჯ.-ის ახსნა-განმარტება:

6.1 2021 წლის 04 ოქტომბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ი. ჯ.-მა მოწმის სახით ელექტრონული პლატფორმის „ზუმის" მეშვეობით, დისტანციურ ფორმატში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის ადვოკატ მ. უ.-თან ერთად მუშაობს ოფისში და შესაბამისად, იცნობს ი. შ.-ს, რომელიც ხშირად მიდიოდა ოფისში მ. უ.-თან სამართლებრივი კონსულტაციების მიღების მიზნით სისხლის სამართლი საქმესთან დაკავშირებით.

6.2 მოწმის განმარტებით, 2021 წლის 24 მაისს ადვოკატ მ. უ.-თან ერთად იმყოფებოდა სასამართლოში. დღის მეორე ნახევარში, მ. უ.-ს დაურეკეს ტელეფონზე. საუბრისას, ი. ჯ.-ს ესმოდა მ. უ.-ის სიტყვები: ,,რა ხდება ვერ გავიგე, რაზე მესაუბრებით, მობრძანდით ოფისში და გავარკვიოთ." როგორც მ. უ.-ისგან შეიტყო, მას დაურეკა ი. შ.-ს შვილმა და მისთვის გაუგებარი იყო თუ რა პრეტენზიები ჰქონდა მის მიმართ.

6.3 ოფისში მისვლისას, მათ დახვდათ ი. შ., მისი შვილი და კიდევ ერთი გოგონა. მ. უ.-ის შეკითხვაზე, თუ რა პრეტენზიები ჰქონდათ, ი. შ.-მა უთხრა, რომ გ. ა.-ს ხომ იცნობდა, რაზეც მ. უ.-მა უპასუხა, რომ პირადად არ იცნობდა, მაგრამ საქმიდან გამომდინარე იცოდა მისი ვინაობა. აგრეთვე, ი. შ. ადვოკატ მ. უ.-ს ედავებოდა, რომ საქმესთან დაკავშირებით ვებ-გვერდზე განთავსებული დეკლარაციები წაიშალა, რაც მისი პოზიციით ადვოკატის ბრალი იყო. ამასთან, ი. შ.-ის პოზიციით, გამომძიებელმა და მ. უ.-მა მისი საუბარი ჩაიწერეს, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას ტელეფონი არ ჰქონდა, რადგან შენობაში შესვლამდე ჩამოართვეს.

6.4 მოწმის განმარტებით, ი. შ.-ის და მისი შვილის თანმხლებ გოგონას ტელეფონი ეჭირა და სავარაუდოდ, იწერდა ოფისში მიმდინარე მოვლენებს. ოფისში სხვა პირების შემოსვლის დროს ი. შ. კიდევ უფრო აგრესიული გახდა და ხმამაღალი ტონით წყევლიდა მ. უ.-ს და ეუბნებოდა, რომ „ასეთ საქმეში აღებული თანხა, როგორ შეერგებოდა“. მ. უ.-მა მოუწოდა ი. შ.-ს დაეტოვებინა ოფისი, რა დროსაც ი. შ. კარისკენ წავიდა, თუმცა მ. უ.-ს დაკეტვისას „ხელზე ჩაარტყეს“.

6.5 მოწმის განმარტებით, მიუხედავად ი. შ.-ის და მისი შვილის მიერ გამოჩენილი აგრესიული და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებისა, ადვოკატ მ. უ.-ის მხრიდან მსგავს ადგილი არ ჰქონია. მოწმის განცხადებით, მ. უ.-მა მიუხედავად დაძაბული ვითარებისა თავი შეიკავა პოლიციის ეკიპაჟის გამოძახებისგან, რადგან სხვა კლიენტებიც იმყოფებოდნენ ოფისში.

6.6 მოწმის განმარტებით, არც თავად და არც იქ მყოფი ე. გ. კონფლიქტში აქტიურად არ ჩარეულან, თუმცა ემოციურად მათზეც იმოქმედა.

6.7 მოწმის განმარტებით, კონფლიქტის შემდეგ ი. შ. და მისი შვილი კვლავ მივიდნენ ოფისში, თუმცა მათთვის თავად არ უკითხავს მოსვლის მიზეზი. როდესაც აღნიშნული მ. უ.-ს შეატყობინეს, მასაც არ უთქვას რისთვის იყვნენ მისულები, რადგან თავადაც ვერ ხვდებოდა კიდევ რა პრეტენზიით შეიძლება მისულიყვნენ.

II სამოტივაციო ნაწილი

7. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

7.1 ადვოკატი მ. უ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

7.2 ი. შ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 08 ივნისს.

7.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2018-21 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

8. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. უ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

9. სამართლებრივი შეფასება:

9.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, მომჩივანმა ადვოკატს მიაწოდა ინფორმაცია სახლის ახალი შემძენის დეკლარაციების შესახებ, რომლებიც მოგვიანებით საჯაროდ ხელმისაწვდომი აღარ იყო, თუმცა აღნიშნული ფაქტი ადვოკატმა არ მოიძია და არ დაურთო სისხლის სამართლის საქმეს მტკიცებულების სახით; ადვოკატი არ დაესწრო ფინანსურ პოლიციაში საჩივრის ავტორის გამოკითხვას; ადვოკატმა მასთან ოფისში მისვლისას საჩივრის ავტორს აგრესიული და მუქარის ტონით მიმართა შემდეგი ფრაზით: „აბა აქ მოდით, აქ ვილაპარაკოთ, რა პრობლემები გაქვთ“; „უნამუსო, უმადური ხარ“; ადვოკატი მომჩივანს ოფისიდან გასვლისას ხელის კვრით უბიძგებდა კიბეზე ჩასვლისკენ“; ადვოკატმა მ. უ.-მა უთხრა, შემდეგი ფრაზები: „ე.წ. ახალ მესაკუთრეს“ - გ. ა.-ს სახლი „დედის რძესავით შეერგებოდა“ და „ფული ყველაფერს აკეთებს“, „რატომ

უნდა მერეკა შენთვის?“. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ზემოაღნიშნული მოქმედებების გამო, მას ეჭვი გაუჩნდა, რომ ადვოკატი მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა; ადვოკატს არ შეუთავაზებია საჩივრის ავტორისთვის საადვოკატო მომსახურების წერილობითი ფორმით გაფორმება;

9.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. უ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა)).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი („აპეკ“), მუხლი 8.5).

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა (აპეკ, მუხლი 5).

9.3 “ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა კეთილსინდისიერების პრინციპს ემყარება. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. საქმისწარმოება შეუძლებელია კლიენტისადმი პატივისცემისა და მორალურ-ზნეობრივი ნორმების დაცვის გარეშე. ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით, ილახება კლიენტის უფლებები და თავისთავად, კლიენტს ეკარგება ადვოკატისადმი ნდობა”. (ეთიკის კომისიის 2021 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 011/15).

9.4 „ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. თუმცა, ადვოკატი ნებისმიერი სამართალწარმოების დროს უნდა იცავდეს მაღალ პროფესიულ სტანდარტს და არ უნდა ლახავდეს კლიენტის ან სხვა პირის უფლებებს“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 053/18).

9.5 „კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ადვოკატი ვალდებულია, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია, რათა კლიენტმა შემდეგში გადაწყვეტილება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს. მნიშვნელოვანია, ადვოკატმა კლიენტის ინტერესები დაიცვას დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც ადვოკატს ავალდებულებს, დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის, პირადი ინტერესებისაგან. ეთიკის კომისიამ ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები ოთხ კატეგორიად დაყო: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის, სასამართლოსა და პროკურატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლენისაგან, მათ შორის, სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №057/10).

9.6 ადვოკატ მ. უ.-ს მომჩივანმა მიმართა 2018 წლის ივნისის თვეში, რაც ეხებოდა ი. შ.-ისთვის, როგორც დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევას. დასტურდება, რომ ადვოკატმა მ. უ.-მა საჩივრის ავტორის საქმესთან დაკავშირებით შეასრულა გარკვეული იურიდიული

მოქმედებები, მათ შორის მომჩივანთან ერთად იმყოფებოდა პოლიციაში საქმესთან დაკავშირებით, განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, საჩივრით მიმართა მთავარ პროკურატურას, როგორც ი. შ.-ის ინტერესების დამცველმა (იხ.29.11.2019).

9.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიიდან ირკვევა, რომ ადვოკატ მ. უ.-ის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა ეჭვი გაუჩინა, რომ მოქმედებდა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ (იხ.პუნქტი 14. – 1.7). კოლეგია განმარტავს, რომ საქმეში არსებული მასალებით არ იკვეთება ადვოკატის მიერ ი. შ.-ის მიმართ, როგორც მისი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედება. მათ შორის, არ დასტურდება ადვოკატის მიერ შემდეგი ფრაზებით მომჩივანისთვის მიმართვა: „ახალ შემძენს, დედის რძესავით შეერგება“ და „ფული ყველაფერს აკეთებს“, რატომ უნდა მერეკა შენთვის?“. აღნიშნული ფრაზების მხოლოდ დადასტურებაც არ იქნებოდა საკმარისი, რადგან მნიშვნელოვანია გამონათქვამების გამოყენების კონტექსტი, რაც შექმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ ითქვა ადვოკატის მიერ. ამასთან, უნდა დასტურდებოდეს ადვოკატის მიერ განხორციელებული კონკრეტული მოქმედებები, რომლის საფუძველზეც კოლეგია იმსჯელებდა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების ვალდებულების შესაძლო დარღვევის თაობაზე. მხოლოდ მომჩივანის შეფასება იმის თაობაზე, რომ ადვოკატი შესაძლოა, მოქმედებდა მის წინააღმდეგ, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის მიმართვისას, რაც ეხებოდა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნას, არ არის საკმარისი ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევის დადგენისთვის. კოლეგია აგრეთვე განმარტავს, რომ მის კომპეტენციას არ განეკუთვნება შეაფასოს ადვოკატმა რამდენად კვალიფიციურად შეადგინა სასამართლოსთვის წარსადგენი განცხადება. სასამართლოს მიერ საქმესთან დაკავშირებით განცხადებაში მითითებულ მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ განჩინება არ არის უპირობოდ ადვოკატის არაკვალიფიციურობის განმსაზღვრელი გარემოება.

9.8 ადვოკატის მიერ მომჩივანის მიმართ შეურაცხმყოფელი და მუქარის ტონით საუბრის თაობაზე, კოლეგია აღნიშნავს, მხარეთა შორის კონფლიქტის წარმოშობა, მათ შორის ადვოკატის მიერ მომჩივანისთვის მიმართვა, რომ ის იყო „უმადური“, რადგან ი. შ.-ს აღარ სურდა მისი საადვოკატო მომსახურება,“აბა აქ მოდით, აქ ვილაპარაკოთ, რა პრობლემები გაქვთ“ არ შეიძლება შეფასდეს, ადვოკატის მხრიდან კლიენტის მიმართ შეურაცხყოფად. აღნიშნული ფრაზები არ სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და გამოხატავს ადვოკატის მოსაზრებას. არ დასტურდება ადვოკატის მიერ მომჩივანისთვის მიმართვა „უნამუსო“ და სადავოა ადვოკატის მიერ მომჩივანისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, როგორც ეს მითითებულია საჩივრის ავტორის და მოწმე ზ. ჯ.-ის განმარტებით. აღნიშნულს არ ადასტურებენ ადვოკატი მ. უ. და მოწმეები ე. გ. და ი. ჯ.. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი გარემოებები არ არის საკმარისი დისციპლინური დევნის აღძვრისთვის, კომისია რეკომენდაციის სახით მიუთითებს, რომ კონფლიქტური სიტუაციების დროს, მით უფრო, როდესაც აღნიშნული კლიენტის მიერ მის მიმართ გამოხატულ პრეტენზიებს ეხება, ადვოკატი არ გასცდეს პროფესიული საქმიანობის მიზანს და მხოლოდ ამ მიზნიდან გამომდინარე წარადგინოს შეფასებები გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, მათ შორის თავი შეიკავოს კლიენტის მიერ გამონათქვამებზე პასუხისას, თავი შეიკავოს ორაზროვანი შეფასებებისგან, რომლებიც შესაძლოა, შეურაცხმყოფელად იქნეს აღქმული.

9.9 კოლეგია საქმეში წარმოდგენილ აუდიო ჩანაწერებზე, რომელიც ადვოკატთან საუბრისას მომჩივანის მიერ ფარულად იქნა ჩაწერილი განმარტავს, რომ ფარული ჩანაწერები წარმოადგენს კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს (სსსკ მუხლი 103(3)). მომჩივანის მითითების შესახებ, საგამონაკლისო წესით ფარული ჩანაწერის მტკიცებულების სახით დაშვების თაობაზე კოლეგია განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არის ის შემთხვევა, როდესაც სახეზეა პირის უფლებათა ისეთი ხელყოფა, რომლის დადასტურება კანონით დასაშვები მტკიცებულების მოპოვების გზით შეუძლებელი იყო. ჩაწერა არ განხორციელებულა ადვოკატის წინასწარი ინფორმირების გზით, მათ შორის გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მათი საუბრისას სხვა პირები იმყოფებოდნენ ოფისში და შესაბამისად, მათი თანხმობის გარეშე და მათი ნების საწინააღმდეგოდ ფარული ჩანაწერების განხორციელება კანონშეუსაბამოა.

9.10 კომისია მომჩივანის პრეტენზიაზე, რაც ეხება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას მიუთითებს, რომ ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს შეთანხმების წერილობითი ფორმით გაფორმების სავალდებულოობას, თუმცა რეკომენდირებულია ადვოკატმა გააფორმოს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რაც სამომავლოდ მხარეთა შორის დავის წარმოშობისას ორივე მხარის უფლებების დარღვევის პრევენციას უზრუნველყოფს.

9.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე № 036/21 ადვოკატ მ. უ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/